მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2024 წელი, №3

სიახლეები „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანებაში"

უამრავ ათეულ წელს ითვლის მესტიის რაიონული საავადმყოფო, სადაც წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ქვეყნის მასშტაბით ცნობილი და ღირსეული ადამიანები, რომელთა სახელებსაც არასოდეს დაივიწყებს ჩვენი საზოგადოება. მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და საოცარი ისტორიები არაერთხელ გაჟღერებულა ქართულ პრესაში.

სიახლეებითა და ცვლილებებით დაიწყო მიმდინარე წელი მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანებაში. ამჟამად გაერთიანების დირექტორი გახლავთ თეა ცინდელიანი, კლინიკური მენეჯერი დავით ბარლიანი, კლინიკის მენეჯერი-ლატავრა მერლანი.

ახალგაზრდა გუნდი ახალი შემართებითა და გეგმებით შეუდგა საქმიანობას.

შეკითხვაზე კლინიკის სამომავლო გეგმებსა და ხედვის შესახებ, თეა ცინდელიანმა განაცხადა, რომ რომ მესტიის კლინიკას აქვს უაღრესად დიდი ისტორია, სადაც მუშაობდნენ სვანეთის დამსახურებული ადამიანები და შეიქმნა ტრადიციები, რაც დღემდე მოყვება და გვყავს არაერთი დამსახურებული და ღვაწლმოსილი ექიმი.

ჩვენი მენეჯმენტის პირობებში თავიდან ბოლომდე გათვალისწინებულია არსებული ტრადიციები და ურთიერთპატივისცემა, რაც აუცილებლად აისახება ყოველდღიურ მოღვაწეობაში. აქვე მოგახსენებთ რომ პაციენტის სიცოცხლე არის და იქნება ყოველთვის პრიორიტეტული.

გადაწყვეტილია არსებულ მომსახურებას დაემატოს დამატებითი სერვისები. განახლდა და თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა ლაბორატორიული განყოფილება, რომელიც მრავალი ათეული წელია ფუნქციონირებს ქალბატონი ნუნუ ხვინთელანის ხელმძღვანელობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტულად ჩაითვალა ადგილობრივი კადრების მოძიება და შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რისი ნათელი მაგალითიც არის მესტიის მკვიდრი ლიკა გურჩიანი, რომელიც კვალიფიციურად და მაღალ დონეზე ჩაერთო ლაბორატორიულ საქმიანობაში.

აქვე მადლობას გადავუხდით უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ირაკლი ნატროშვილს და პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს ბატონ ლევან რატიანს.

უდიდესი როლი აქვს კლინიკის გამართულ ფუნქციონირებისთვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას როგორც ფინანსური, ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებით.

ადგილობრივი თვითმმართველოს ძალისხმევით მესტიის კლინიკაში დამონტაჟდა თანამედროვე უახლესი კომპიტერული ტომოგრაფია, რომელიც დღეს ფუნქციონირებს. აგრეთვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით სტაციონარის რემონტი, რაც მოიცავს საოპერაციო და სასტერილიზაციო ბლოკებს. რემონტის შემდგომ ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით კლინიკას მიენიჭება შესაბამისი დონე, რის შემდგომაც სრულფასოვნად ამუშავდება გეგმიური სერვისები.

კლინიკაში დაინერგა სამედიცინო პროგრამა, რაც საშუალებას იძლევა დოკუმენტის წარმოება იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

დაკომპლექტდა და 24/7 ზე მუშაობს გადაუდებელი დახმარების განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს შორენა რატიანი.

ჩვენი მიზანია კლინიკის განვითარება და ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიციური დახმარება.

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, აქვე მოგახსენებთ, რომ საავადმყოფოში სრულყოფილად ამოქმედდა კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი.

კვლევების ჩამონათვალი:

თავის ტვინი; თვალბუდე; წიაღები; საფეთქლის ძვალი და ყური; კისერი; გულმკერდი; წელის მალები და გავა; მხრის სახსარი; იდაყვის სახსარი; სხივ-მაჯის სახსარი; მტევანი; მენჯ-ბარძაყის სახსარი; მუხლის სახსარი; კოჭ-წვივის სახსარი; ტერფი, მუცლის ღრუ, ქვედა კიდურები.

კლინიკაში ასევე კეთდება გეგმიური ლაბორატორიული კვლევები:

- ტარდება ბიოქიმიური გამოკვლევები (კვლევა სრულდება სრულად ავტომატიზირებულ DRI-CHEM NX600-ზე);
- ლაქტატდეჰიდროგენაზას კონცენტრაციის განსაზღვრა (LDH);
- თირკმლის და საშარდე სისტემის ფუნქციური სინჯების კვლევა (კრეატინინი, შარდმჟავა);
- პანკრეასული ამილაზას კონცენტრაციის განსაზღვრა (AMYL-P);

- ლიპაზა (LYP);
- ლიპიდური პროფილის განსაზღვრა (ტრიგლიცერიდები და საერთო ქოლესტერინი TG & TCHOL);
- ღვიძლის ფუნქციური სინჯების გამოკვლევა (ალანინამინოტრანსფერაზას კონცრენტაციის განსაზღვრა; ასპარტატამინოტრანსფერაზას კონცენტრაციის განსაზღვრა; გამაგლუტამილტრანსპეპტიდაზას კონცენტრაციის განსაზღვრა; პირდაპირი და არაპირდაპირი ბილირუბინი ALT,AST,GGT, BIL-T, BIL-D);
- ფოსფორის (P)კონცენტრაციის განსაზღვრა.

ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პაციენტების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და მონიტორინგში.

კლინიკაში ფუნქციონირებს კვლევების შედეგების ელექტრონული ბაზა და პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე მუშაობს ელექტრონული ფოსტა.

ლაბორატორია მუშაობს:

გეგმიური ლაბორატორიული კვლევები:
ორშაბათი-პარასკევი (შაბათ-კვირის გარდა)
10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

გადაუდებელი ლაბორატორიული კვლევები
24/7-ზე

„ტვინების ბრძოლა"

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლის გუნდი „კლდის ვეფხვი" საქართველოს ჩემპიონია!

საქართველოს ჩემპიონატში „ტვინების ბრძოლა" U8 – მეექვსე, მეშვიდე, მერვე კლასი – ასაკობრივ კატეგორიაში გუნდი „კლდის ვეფხვი" საქართველოს ჩემპიონი გახდა.

გუნდის კაპიტანია ნიკოლოზ რატიანი. წევრები: რომან სუბელიანი, მარიამ გვარლიანი, მზია ფალიანი და ლიზი მაჩიტიძე.

გუნდის ხელმძღვანელი და კლასის დამრიგებელი: მარიანა ფალიანი მარიანა.

ტვინების ბრძოლა არის გუნდური ინტელექტუალური თამაში სკოლის მოსწავლეებისთვის.

პროექტის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობაში ერუდიციის, წიგნიერებისა და ზოგადი განათლების დონის ამაღლება, ინტელექტუალური განტვირთვის წახალისება, მოსწავლეებისთვის ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარის, გუნდური მუშაობის უნარისა და სხვა ღირებული უნარ-ჩვევების განვითარება.

ტვინების ბრძოლა ტარდება 4-ეტაპიანი ჩემპიონატის სახით:

1. შიდასასკოლო თამაში
2. საქალაქო ტური, რომელშიც გუნდები კონკურენციას უწევენ საკუთარი ქალაქის სხვა გუნდებს.
3. რეგიონული პირველობა, რომელშიც გუნდები კონკურენციას უწევენ საკუთარი რეგიონის სხვა გუნდებს.
4. ფინალი, რომელშიც გუნდები კონკურენციას უწევენ საქართველოს მასშტაბით ფინალში გადასულ სხვა გუნდებს.

წელს საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გახდა „კლდის ვეფხვი" და მან საქართველოს ჩემპიონი გუნდის სტატუსი მოიპოვა.

ვულოცავთ მეორე საჯარო სკოლის პედკოლექტივს, მოსწავლეებს, მშობლებს და მთელ მუნიციპალიტეტს ამ ღირსეულ გამარჯვებას.

კაპიტანი	ჯამი	1	2	3	4
ნიკოლოზ რატიანი	92	5	6	7	5
იოსებ ბოლქვაძე	91	5	6	7	5
ნიკა ცეცხლაძე	91	5	6	7	5
ოთარ ძნელაძე	90	5	6	7	5
ზაალ ტაბეშაძე	84	5	6	7	5
ვახტანგ ცინცაძე	83	5	6	0	5
ნიკოლოზ შუბლაძე	83	5	6	7	5

მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში

ტრადიციულად, საკრებულოს ფეისბუქ გვერდისა და ადგილობრივი გაზეთის „ლილე“ მეშვეობით, ვცდილობთ მაქსიმალურად მივაწოდოთ მოქალაქეებს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების, სხვადასხვა სამსახურის, მათი ხელმძღვანელებისა და პასუხისმგებელი პირების საქმიანობის შესახებ.

დღეს გვსურს წარმოგიდგინოთ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში, დასაწყისში კი ვისაუბროთ სამსახურის უფროსის – ქალბატონ ქეთევან ხარძიანის შესახებ.

ქეთევან ხარძიანმა 1994 წელს წარმატებით დაამთავრა მესტიის მ. ხერგიანის სახელობის N2 საშუალო სკოლა, 2002 წელს კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სპეციალობით – კლინიკური ბიოქიმია. კვალიფიკაცია – ექიმი ბიოქიმიკოსი (სერთიფიცირებული) 01/08/2014 წლიდან დღემდე არის მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, რასაც წინ უძღოდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსობა.

2013 წელს მუშაობდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და შრომითი ურთიერთობის საკითხებში მთავარ სპეციალისტად.

2010-2013 წლებში იყო ფარმაცევტული კომპანია შპს „გეა“ – სამედიცინო წარმომადგენელი;

2008-2010 ფარმაცევტული კომპანია შპს „გეას“ – ფარმაცევტი;

2004-2006 მესტიის სანიტარული ინსპექცია – ექიმი ბაქტერიოლოგი;

2005-2006 წლებში მესტიის N2-ე საჯარო სკოლის ქიმიის და ბიოლოგიის პედაგოგი;

2003-2006 მესტიის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და სამშობიარო სახლის გაერთიანების კლინიკური ლაბორატორიის გამგე;

2002-2003 მესტიის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და სამშობიარო სახლის გაერთიანებაში – ექიმი ბიოქიმიკოსი;

არის ლექსების კრებულის: „ერთი დედის ფიქრები“ – ავტორი, აიპ საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

არის ღირსეული შვილების დედა, შრომისმოყვარე და მაღალი პასუხისმგებლობის ქალბატონი.

2023 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ შესრულებული საქმიანობის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა

პირველი რგოლი, როდესაც დაინტერესებული პირი განაცხადით მიმართავს მერიას გარკვეული მომსახურების მისაღებად, გახლავთ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება, სადაც ხდება მოქალაქეთა პირველადი კონსულტირება მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ და შესაბამისი განცხადებების მიღება.

განყოფილება ყოველდღიურად უზრუნველყოფს მატერიალური, ელექტრონული ფოსტის და ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით შემოსული ათეულობით დოკუმენტის მიღება-რეგისტრაციას, მათი შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას და შესაბამის რეაგირებას.

2023 წლის განმავლობაში ჯამში ერთიანი ელექტრონული საქმიწარმოების სისტემაში ატვირთულია 14377 (თოთხმეტიათასსამასსამოცდაჩვიდმეტი) კორესპონდენცია.

სისტემაში ატვირთული 14377 კორესპონდენციიდან, უშუალოდ ადმინისტრაციულ სამსახურს კომპეტენციის ფარგლებში ქმედება აქვს განხორციელებული 6007 ერთეულ კორესპონდენციაზე.

2023 წლის განმავლობაში, მერიის მიერ შესყიდული იქნა სულ 10 030 ლარის ღირებულების სწავლება სხვადასხვა მიმართულებით.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ ზედამხედველობა გაუწია დეკლარირებას დაქვემდებარებული თანამშრომლების მიერ, თანამდებობრივი დეკლარაციების კანონით დადგენილ ვადაში ანტიკორუფციული ბიუროს წინაშე წარდგენას.

ორგანიზება გაუწია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლით დადგენილი, საჯარო მოხელის შეფასების პროცესს, ხოლო შემდგომ უზრუნველყო მიღებული შედეგების სისტემაში ასახვა.

ადამინური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტის მიერ, რომელიც ასევე წარმოადგენს მერიის საარქივო დოკუმენტაციაზე პაუხისმგებელ პირს, ეროვნული არქივის მესტიის ფილიალის წარმომადგენელებთნ ერთად კოორდინაცია გაუწია 2015-16-17-18 წლების დოკუმენტების კანონისმიერი წესით დამუშავებას და არქივზე გადაცემას.

მერის წარმომადგენელთა კოორდინააციის განყოფილება:

სისტემატურად აორგანიზებდა ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრებს, როგორც შიდა ორგანიზაციულად, ისე სხვა უწყებებთან.

2023 წლის თებერვლის თვეში, განყოფილება ჩართული იყო ორგანიზებაში და მონაწილეობდა, სოფლის მხრდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გამართულ დასახლებების საერთო კრებებში. აგრეთვე, ა (ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის N57 წერილის საფუძველზე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან და სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოსსახელმწიფო ლაბორატორიის მესტიის წარმომადგენელთან ერთად, საბავშვო ბაღებში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ზემდგომი პირების წინაშე შესაბამისი რეკომენდაციის მომზადების მიზნით ჩართული იყო მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების უფროსი. ჯამში ვიზიტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის 16 საბავშვო ბაღში. პარალელურად, ვიზიტი განხორციელდა რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობებსა და იმ სივრცეებში, სადაც მერის წარმომადგენლები ასრულებენ საქმიანობას. მოცემული დროისათვის, აღნიშნული მიმართულებით, ტერიტორიულ ერთეულებში მდგომარეობა შემდეგია:

უშგული – ადმინისტრაციული სივრცე საჭიროებს რეაბილიტაცის და ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

კალა – ადმინისტრაციულ სივრცეს ჩატარებული აქვს რემონტი და საჭიროებს ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

იფარი – ადმინისტრაციული სივრცე საჭიროებს სრულ რეაბილიტაცის და აღჭურვას;

წვირმი – სივრცე ნაწილობრივ საჭიროებს რემონტს და ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

მულახი – სივრცე საჭიროებს სრულ რეაბილიტაცის და ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

დაბა მესტია – ესაჭიროება დამატებითი საოფისე ავეჯი და ერთი ერთეული პერსონალური კომპიუტერი;

ლენჯერი – ახლად აშენებული ადმინისტრაციული შენობისათვის საჭიროა საოფისე ავეჯი და ტექნიკა;

ლატალი – სივრცე საჭიროებს რემონტს და საოფისე ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

ბეჩო – ადმინისტრაცია განთავსებულია ამბულატორიის შენობაში, ასევე საჭიროებს დამატებით ავეჯს;

ცხუმარი – ადმინისტრაცია, ასევე განთავსებულია ამბულატორიის შენობაში, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას, საოფისე ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

ეცერი – სივრცე საჭიროებს რემონტს და საოფისე ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

ფარი – შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას და ავეჯით და ტექნიკით აღჭურვას;

ლახამულა – შენობას ესაჭიროება რემონტი და დამატებითი ავეჯი;

ნაკრა – შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, საოფისე ავეჯსა და ტექნიკას;

ჭუბერი – შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, საოფისე ავეჯსა და ტექნიკას;

ხაიში – ადმინისტრაციული შენობა განთავსებულია სატყეო სააგენტო კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. ასევე, საჭიროებს საოფისე ავეჯსა და ტექნიკას;

იდლიანი – ესაჭიროება საოფისე ავეჯი.

გარდა საჯარო სივრცეების მატერიალურ-ტექნიკური გაუმართაობისა, ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, საჯარო მომსახურებების ადგილზე მიწოდების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, დასახლებეში არასტაბილური ელექტრო მომარაგება და არასაკმარისი სიხშირის ინტერნეტი.

საზოგადოებათან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებები:

განყოფილებების ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა მერიის კომუნიკაციის უზრუნველყოფა საზოგადოებთან და მასმედიასთან. მათი საქმიანობის მნიშვნელოვან წილს შეადგენს:

მერიის ოფიციალური ვებ http://xn---mestia-8j1ajjk2b4gqa.gov.ge/ ადმინისტრირება, რომელზეც პროაქტიულად ქვეყნდება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტები, საზოგადოებრივი ინტერესის შეცველი დოკუმენტები,ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ, ოფიციალური შეტყობინენები დაგანცხადებები. ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის (ყველა ეტაპი), მერიის საქმიანობის, მომსახურების სახეების, მუნიციპალური პროგრამებისა დაპრიორიტეტების შესახებ ინფორმაციები.

საანგარიშო პერიოდში პროაქტიულობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის გაზრდის მიზნით, უფრო აქტიური და მობილური გავხადეთ ვებ გვერდი, რამაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი მონაპოვარის მოტანას, კერძოდ:

ადგილობრივი თვითმმართველობის (LSG) ინდექსის საქართველოს მუნიციპალიტეტების 2023 წლის ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტი პირველ ხუთეულში, მეოთხე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტი გახდა მოწინავე მუნიციპალიტეტი ინდექსის გაუმჯობესების მაჩვენებელის მიხედვით.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის და ინფორმირების ყველაზე ეფექტური საშუალება არის სოციალური მედია. განყოფილებები ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მუშაობენ მერიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ინფორმაციის განახლებაზე. ინტერნეტ არხების მეშვეობით ქვეყნდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ინფრასტრუქტურული პროექტები, კულტურული, საგანმანათლებლო თუ სპორტული ღონისძიებები. სოციალური გვე-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

რდის საშუალებით შემოდის შეტყობინებები, რომლის საფუძველზეც, საანგარიშო პერიოდში ხდებოდა დროული და აქტიური უკუკავშირი.

მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებასთან ერთად 2013 ნლიდან გამოსცემს ადგილობრივ გაზეთს.

გაზეთი უფასოდ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების დახმარებით. ელექტრონული არქივი კი, განთავსებილია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.mestia.gow.ge

2023 წელს, კომპეტენციის ფარგლებში განვიხილე და შესაბამისი რეაგირება განვახორციელე, სხვა და სხვა შინარსის 1014 კორესპონდენციაზე, კერძოდ: 970 შევასრულე ვადაში, 34 ვადაგადაცილებით, ხოლო 10 დამუშავების პროცესში მყოფი საკითხია. როგორც სამუშაო ჯგუფი წევრი, ვმონაწილეობდი მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების პროცესებში.

2023 წელს გახლდით, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (LSG) მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. მოგახსენებთ, რომ 2022 წელს მესტიის მუნიციპალიტეტმა სამოქალაქო მოძრაობა სამეგრელოს ხმასთან ერთად,

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ინდექსის (LSG) გაუმჯობესების მიზნით განახორციელა ერთობლივი პროექტი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალეობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტანდარტების დანერგვა-დახვეწისა და ეროვნული შეფასებით განსაზღვრული კრიტერიუმების ახლებურად გაცნობიერებისათვის, პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა „მესტიის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მუნიციპალური სამუშაო ჯგუფი“ და დამტკიცდა აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის განმსაზღვრელი დებულება;

ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ არა, მხოლოდ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები არამედ, სამოქალაქო სექტორის, პროფესიული ჯგუფების და ბიზნესის წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამეგრელოს ხმის“ წარმომადგენელი.

მოცემული სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელზეც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო პროექტის მიზნებისათვის.

მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის მხრიდან დანახული პროცესის ანალიზი და მათი ინტერესების მხარდაჭერა;

მოკვლევის შედეგმა, სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა მისცა დაემტკიცებინა – „მესტიის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის ღონისძიებათა გეგმა“, რომელშიც გაიწერა თითოეულ შეფასების ინდიკატორთან მიმართებაში განსახორციელებელი საქმიანობა, მათი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი მხარეები და კონკრეტული პასუხისმგებელი პირები;

არსებული ვებ გვერდის www.mestia.gov.ge ტექნიკურად გამართვის მიზნით,

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული იქნა IT მომსახურება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სტრუქტურულად და შინაარსობრივად გაგვემდიდრებინა ვებ გვერდის შიგთავსი;

პროექტის შედეგების შეჯამების საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შემუშავდა და მუნიციპალიტეტს გადმოეცა მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ინდექსის გასაუმჯობესებლად, რეკომენდაციები.

შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (LSG) 2023 წლის ეროვნულ შეფასებაზე მესტიის მუნიციპალიტეტი პირველი ხუთეულიდან, მეოთხე ადგილზე, ხოლო წინა შესაფასებელ პერიოდთან მიმართებაში მიღწეული პროგრესით პირველ ადგილზე გავიდა. მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა – „ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის“ სიგელით.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტატეგიაში და სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნები და ამოცანები, ასევე ზემოთ წარმოდგენილი ანგარიში აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებასა და არსებული პრობლემების ეფექტიანად დაძლევაზე არის მიმართული სრულად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა, მათ შორის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიმდინარე, თუ დაგეგმილი საქმიანობაც.

„ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“

თემაზე – ადამიანების უფლებები, თავისუფლებები და თანასწორობა, 10-11-12 ივნისს, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ჭუბერში, ხაიშში და მესტიაში.

საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, თანასწორობის უფლება, როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლება და მისი სამართლებრივი განმარტება, დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობა, მრავალფეროვანი საზოგადოების ღირებულება, უფლების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები და სხვა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ შეკითხვები მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე და მიეღოთ პასუხები.

შეხვედრებს უძღვებოდა ნატი გელოვანი – არასამთავრობო ორგანიზაციის „კანონის უზენაესობის ცენტრის“ იურისტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

მოსახლეობასთან შეხვედრები ორგანიზებული იყო კანონის უზენაესობის ცენტრთან თანამშრომლობით, ზამთრის სკოლის „ახალგაზრდები თანასწორობისთვის“ მონაწილეების დავით ნიჟარაძის, მარიამ სიჭინავას და მარიამ კავთელაძის მიერ.

საინფორმაციო ღონისძიებები გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის საელჩოს პროექტის – „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) მხარდაჭერით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება იგეგმება საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

დავით მურაჩაშვილის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა

2024 წლის 11 ივნისს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დროებით საგამოფენო დარბაზში მარიამ ჯაფარიძის კურატორობით, (ცენტრალური აპარატის უფროსი, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი) სვანეთი DMO-სა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, იტალიაში მოღვაწე, თანამედროვე ხელოვნებაში გამორჩეული ცნობილი ქართველი მხატვრის, დავით მურაჩაშვილის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა.

გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა სვანეთის ფოლკლორილი ანსამბლის „რიჰოს“ უკვდავი ჰანგების ფონზე. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, გამოფენის არსსა თუ კონცეფციაზე ისაუბრეს ანსამბლ რიჰოს ხელმძღვანელმა ბატონმა ვახტანგ ფილფანმა და გამოფენის ავტორმა, შესანიშნავმა მხატვარმა დავით მურაჩაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა მცირე მიღება დამსწრე საზოგადოებისათვის!

ხატვა გრძნობების, აღქმულისა და აღსაქმელის, გარესამყაროს საკუთარი ფანტაზიით გადმოცემის საშუალებაა, ნიჭია, რომელიც ყველას არ აქვს. მხატვარ დავით მურაჩაშვილის შემოქმედების ხილვისას ერთი აზრი გებადება – თითოეული ნახატი იმ ფუნჯითაა შექმნილი, რომელსაც მხატვრის გულის სიღრმიდან ამომავალი გრძნობები ამოძრავებს. ზოგიერთ ნახატში მხატვრის სულის სარკეც კი ჩანს.

დასამახსოვრებელი შინაარსი, ფერები, განწყობა – ეს მისი შემოქმედების ლეიტმოტივია. დავით მურაჩაშვილს ბავშვობიდან დაჰყვა ნიჭიერება – ხატვისა და სიმღერისადმი სიყვარული ადრეული ასაკიდან იმდენად აშკარა იყო, რომ მშობლებმა მშობლიურ ქალაქ გორიდან საცხოვრებლად თბილისში ჩამოიყვანეს, რათა ნიჭის განვითარებაში ხელი შეეწყოთ.

მხატვარი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ანზორ ერქომაიშვილთან ურთიერთობის წლებს – სწორედ მან უბიძგა დავითსა და მის ძმას ყველა ბავშვისთვის საოცნებო მუსიკალური მწვერვალი დაეპყროთ და ურთულესი ქართული ხალხური სიმღერა “ბერიკაცის“ შესრულებისთვის მათი ხმა მე-20 საუკუნის ოქროს ფონდში დაცულიყო. ის პერიოდიც დადგა, როცა დავითი არჩევანის წინაშე დადგა – ხატვა თუ სიმღერა! “მართვესა“ და “ერისიონში“ გატარებული წლები არ ეთმობოდა მხატვარს, მუსიკალური სასწავლებელიც წარმატებით დამთავრა, თუმცა სამხატვრო აკადემიაში სწავლა გადაწყვიტა და მხატვრის კარიერა აირჩია.

მიუხედავად წარმატებული სამხატვრო კარიერისა, სიმღერა მისი განუყოფელი ნაწილია და ორივეგან წარმატებით მოღვაწეობს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავით მურაჩაშვილის ნახატების ერთი თვითმყოფადი ხასიათი – აქ ფორმა და შინაარსი ადვილად აღსაქმელია, დამთვალიერებელი არ იღლება, თვალი და გონება ძალდაუტანებლად ტკბება აღქმულით, რადგან გამოსახულებები შინაარსის შესაბამისია. ფერები სამყაროსეული, მშვიდი და თბილია.

ნიშანდობლივია, რომ დავითის ნამუშევრები საზღვარგარეთის კერძო კოლექციებშია დაცული – ამერიკაში, იტალიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ბრაზილიაში, ავსტრიაში, დუბაისა და კანადაში. წარმატებულ ქართველებს შორის კი ეს ულამაზესი ნახატები ნანი ბრეგვაძისა და მერაბ სეფაშვილის კოლექციას ამშვენებს.

დავით მურაჩაშვილი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს – უკვე მეორე წელია მისი კონკურსი ხატვაში თბილისის საკრებულოს თამარ – მეფის დარბაზში იმართება და მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს აძლევს თავის წარმოჩენის საშუალებას.

დავით მურაჩაშვილი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი აქტიურობის გამო დაჯილდოებულია დიპლომებით, სერტიფიკატებითა და მადლობის სიგელებით. ეს კი მეტ სტიმულს სძენს წარმატებით გააგრძელოს ხატვა – ანუ, ხელოვნების ის დარგი, რომელიც მშვენიერების უძლიერესი ამსახველია.

მხატვარი და მომღერალი დავით მურაჩაშვილი სპორტსმენიც გახლავთ. ის პროფესიონალი კინგ ბოქსიორი და მოცურავეა. მის მფლობელობაში რამდენიმე ჯილდოა.

ი. წ. – სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი

დამფუძნებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი,
ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com